

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ქანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება ქანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა დიდი ასოვებით ასოვებზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—1/2 კაპ., სტრიქონების ციკროთი—1 კაპ., ბატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 ოქტომბერიდან

ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

ძალაქს ვარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газеты „Дроება“.

ცალკე ნომერი

„დროებისა“

თფილისის გარდა შემდეგ ქალაქებში ისე იყიდება.

გორში—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ჭუბთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

გაქათაშაბანში—სტანციის ბუფეტში, ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ახალციხეს—უფ. ალ. შარძელიანის მაღაზიაში.

ტელეგრაფები

პარიში, 5 ნოემბერს. აქ ამბობენ, რომ გუშინ მუნიციპალურ რჩევების ამორჩევებში რესპუბლიკურმა პარტიამ 60-ს ახალს მანარაში გაიმარჯვა. მინისტრების თავმჯდომარე გერცოგი ბროჰლი შრის დეპარტამენტში გააშავეს.

სტამბოლი, 5 ნოემბერს. მეჭმედ-ალი ფაშა სოფიაში და ორხანიაში მყოფს ოსმალის ჯარის სარდლად არის დანიშნული.

პარიში, 6 ნოემბერს. პოიე-პერტიეს სამინისტრო ვერ შესდგა. ამბობენ, რომ ისევ გერცოგ ბროჰლის სამინისტრო დარჩება.

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ოზურგეთიდან გვწერენ:

„აქ ამბობენ, ვითომც მომეტებული ნაწილი ოსმალის ჯარებისა, რომელიც ხუტ-შაბანში, ტვირიკეზე, სინის-ძირში და ბათუმში იყვნენ დაბანაკებულნი, არზრუმისაკენ წაუყვანიათ ასე, რომ აქეთკენ ოსმალებს ახლა იმის მესამედი ჯარი აღარა ჰყავთ, რაც გასულს ივლისში ჰყავდათ, როცა ჩვენ სინის-ძირის აღება განვიზრახეთ.“

„ამბობენ, რომ ხუტ-შაბანში დერვიშ-ფაშას რამდენიმე პოლკის მეტი არა ჰყავსო, და სინის-ძირზე კი მხოლოდ ოთხი ბატალიონი არისო.“

„მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ადგილები, განსაკუთრებით სინის-ძირი და ტვირაკე, ისეთ ნაირათ არის ბუნებით და ხელოვნურად გამაგრებული, რომ იმათი ძალით აღება ჩვენგან მაინც დიდ მსხვერპლს მოითხოვს.“

სტამბოლიდან ფრანკურულს გაზეთებში იწერებინან, აქ არზრუმის ლუბერ-ნატორისაგან მოვიდა ამბავი, რომ ოსმაილ-ფაშის ჯარი 14 ღვინობისთვის შეუერთდა მუხთარ-ფაშის არმიას და როცა ის უკან იწედა, ამ დროს რუსებთან მცირეც არის შეტაკება არ ჰქონიაო.

მუხთარ-ფაშის არმიის თაობაზე „ქელნის ბაზეთში“ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი, რომელიც ამ გაზეთს სტამბოლიდან მიუღია 14 ღვინობისთვის:

„11 ღვინობისთვის ალადაჯალის მთებიდან დაბრუნებულმა მუხთარ-ფაშამ სოლანლულის მთებზე გააჩერა თავის ჯარები; მთავარი არმია იმისი ზევიანზე იყო გამაგრებული. ამ არმიის მარჯვენა ფლანგი, რომელიც დამარცხებული იყო ავლიართან, მოფრინ-შეისთან მოგროვდა და ესენი ხელ-ახლად მოამზადეს ომისათვის. 2,000 კაცამდინ სად დაიკარგა, კაცმა არ იცის. იზმაილ-ფაშა შარა-ქილისის გზით მოდის არზრუმისაკენ.“

„უკველია, რუსები ამ ზამთრამდინ მოინდომებენ, რომ შარსი შიმშილით აიღონ.“

„მუხთარ-ფაშის დამარცხებამ ს ამბოლის ხალხი ძალიან დააფიქრა და დაალონა. მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ და-“

უკარგავთ. შოველის მხრით ყვირიან და ურჩევენ ახლა მმართველობას, რომ რაც შეიძლება მომეტებული ჯარი გაგზავნონ მცირე აზიისაკენ.“

ბათუმის ჯარების სარდალს დერვიშ-ფაშას დევეშით უცნობებია თავის მთავრობისათვის სტამბოლში, რომ 13 ღვინობისთვის მუხა-მსტატეში დაბანაკებულს რუსის ატრიადს ახალი ჯარები—ოთხი ბატალიონი და რამდენიმე ზარბაზანი მოუყვადონ.

ლონდონის გაზეთს „Standard“-ს არზრუმიდან სწერენ:

„ბერმანის ელჩის მოთხოვნისგან, ოსმალეთის მთავრობამ თავის ხარჯით გამოისტუმრა ძავეკანისაკენ თხუთმეტი სახლობა მეგრელებისა, რომელიც სუხუმიდამ წასვლის დროს წაიყვანეს ოსმალის ჯარებმა.“

მსოფლიოს ბრძოლის ველიდან

აესტრიულს გაზეთს „Tagblatt“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 18 ოქტომბერს პლენოდამ მიღებული:

„ოსმან-ფაშის არმია პლენოში სულ 62 ბატალიონისაგან შესდგება (თითო ბატალიონში 500-დან 650 კაცამდინ ითვლება). ამ ჯარისათვის პლენოში ოცი დღის სარჩო აქვთ დამზადებული“

„თვითონ ოსმან-ფაშა დაჭრილია; მაგრამ დღე და ღამ ფეხზე დგას, ყოველის მხრით განკარგულებას აძლევს, ამხნეებს თავის ჯარს. იმას დიდი იმედი აქვს, რომ რუსები და რუმინები ეგრას დააკლებენ პლენოს. ჯარებს ოსმან-ფაშა სწორედ ღმერთად მიაჩნიათ, უყვართ: ყოველი იმისი სიტყვა და მოქმედება შეუცდომელიად მიაჩნიათ და ხმისამოუღებელად ასრულებენ.“

„შევექეთ-ფაშას, რომელიც სოფიის შოსსზე დგას, ორხანიაში, 10,000 კაცამდინა ჰყავს. ამას გარდა ორხანიისაკენ გამოგზავნეს ამ დღეებში ნოვი-ბაზარიდან ახალი ჯარები და ამათის შემწეობით შევექეთ-ფაშას იმედი აქვს, რომ ისევ წაართმევს რუსებს ბორნი-ღუბნისა და ტელეშს და ამნაირად პლენოში შესასვლელ გზას გაიხსნის.“

თ ალისში მოვიდა გუშინ შემდეგ

ოუციკალური დეპეშა ბოგოტიდამ 24 ლეინობისთვის გამოგზავნილი:

ხელმწიფე იმპერატორმა დახედა გუშინ მდ. ვიდს ვალმა დაბანაკებული ჩვენი ჯარები და კმაყოფილი დარჩა ჩვენის პოზიციებით.

ტეტებენი პოლკოვნიკის არლოვის ჯარებმა აიღეს 19 ამ თვეს. მხოლოდ ერთს გამაგრებულ მთას მიაღწენ ჩვენები და როცა ეს აიღეს, დანარჩენი ალაგებ, თავის ნებით მიატოვა მსმალოს ჯარმა, რომელიც მრხანიესკენ წავიდა. მტრის ჯარი სულ 600 კაცი იყო ქვევითა და 150 ცხენოსანი. ამათში 100 კაცი დაიხრცა და დაჭრილები ასი ურმით წაიყვანეს. ჩვენის მხრით მხოლოდ ერთია მოკლული და 21 დაჭრილი.*

სტამბოლის ვაზეთები გვაცნობებენ, რომ აღრინდელი მთავარ-სარდალი მსმალოს ღუნის არმიისა მეჭმედ-ალი-ფაშა, რომლის მოადგილეთა ახლა სულეიმან-ფაშა არის დანიშნული, ჰერცოგოვინისა და ბოხნიის ჯარების უფროსად დაუნიშნავთ.

რუსების გამარჯვებას მცირე აზიაში და მუხთარ-ფაშის არმიის დამარცხებას ხელ-ახლად გაუმხნევებია სერბიის მთავრობა და როგორც იწერებიან, კიდევ დაუწყებიათ ლაპარაკი, რომ სერბიამაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსმალეთის წინააღმდეგ ამ ომში. მაგრამ ის გარემოება აშინებთ, რომ მსმალეთს 25,000 კაცამდინ ჰყავს სერბიის სამზღვრებზე დაყენებული და ამ ჯარს ზრდადება აქვს მიცემული, რომ, გამოაცხადებს თუ არა სერბია ომს, იმ წამსვე ვადალით სამზღვარზე და პირ-და-პირ ბელგრადისაკენ გასწიეთ.

ვენის ვაზეთს „Presse“-ში ბუხარესტიდამ იწერებიან: „რუმინიის ჯარის უკანასკნელმა დამარ-

ცხებამ პლევნოსთან და კიდევ 1,000 კაცის დანაცვამ ხელ-ახლად ალაპარაკა მმართველობის მოწინააღმდეგე პარტია (ოპოზიცია), რომელიც დიდი ხანია თხოულობს, რომ რუმინიამ თავი დაანებოს ამ ომს და ჯარები შინ დააბრუნოს. ამას დაერთო კიდევ ის გარემოება, რომ რუმინიის ჯარი პლევნოსთან, როგორც ამბობენ, სიცივისა და ავთ-მყოფობის გამო, ძალიან ცუდს მდგომარეობაში არის. მაგრამ ხალხს იმით ანუგეშებენ, რომ დღეს თუ ხვალ პლევნოს ავიღებთ და მერე უფრო დიდს სახელითა და ქებით დაბრუნდება ჩვენი ჯარი შინაო.“

სამართველო

დღიური

* * როგორც იქნა, ბოლოს ჩვენს ძალაქის რჩევაში ჩამოვარდა ლაპარაკი სიძვირებედ: გასული ორშაბათის სხდომაზედ ხმოვანმა უფ. ალადათოვმა სთქვა რომ ამ ქალაქის სიძვირიზე ყველა ვაზეთები ლაპარაკობენ, ხალხი ჩივისო და დრო არის ყურადღება მივაქციოთო.

„მე თვითონ მუდამ დღე დავიარები ბაზარში და ვრწმუნდებიო, დაუმატა ამას უფ. ალადათოვმა, რომ მართლაც ისეთი სიძვირეა ახლა ჩვენ ბაზრებში, ისეთი მოტყუება ხალხისა თუ წონაში და თუ ზომაში, რომ არც ერთი მყიდველი კმაყოფილი არ მიღის ვაჭრისაგანო. აუცილებლად საჭიროა, რომ ძალაქის გამგეობამ მალე და ჯეროვანი ღონის-ძიება იხმაროს ამ უწესიერებისა და სიძვირის წინააღმდეგ.“

ამ საფუძვლიანი სიტყვის პასუხად, გამგეობის წევრმა უფ. ლოლუხანოვმა მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ წონაში მოტყუებისათვის ჩვენ ექვსი პროტოკოლი შევადგინეთ და პროკურორას გადავეცითო!

მეტა არაფერი! ამათ ვაათავეს ლაპარაკი! არაერთარი საშუალოდა ბაზრის უწესოების მოსასაზრებლად, არაერთარი ღონის-ძიება კეთილ-სინილისიანი და თავიანი ბაზარნიკების დაყენებისათვის და ღარიბი ხალხის ბედის შემსუბუქებისათვის...

* * ღღევანდელს ნომერში დაბეჭდილის განცხადებდამ შეიტყობს მკითხველი, რომ მთილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტმა ხელმეორედ დანიშნა ამ ბანკის დამწესებელთა საზოგადო უჩვეულებრივო კრება 15 ნოემბრისათვის.

ამ კრებაში იმავე საგნებზე იქნება სჯა, რაზედაც უნდა ყოფილიყო იმ კრებაში (10 დეინობისთვის), რომელიც დამწესებელთა რიცხვის ნაკლებობას გამო ვერ მოხდა.

* * მს მეორეთ გამოატარეს ჩვენს ქალაქზე მ-ს ღვინობისთვის ავლიართან დატყვევებული ოსმალოს სალდათები და აფიცრები, რომელთაც აქედამ რუსეთში აგზავნიან.

ჩვენ შევიტყეთ, რომ თითო ოსმალოს დატყვევებულ სალდათს დღეში ხარჯის ფულად 12 კაპეიკი ეძლევათ.

ის სალდათები, რომელნიც გუშინ-წინ გაატარეს ჩვენს ქალაქზე, თბილად და სუფთათაც იყვნენ ჩაცმულნი, შესახედავათაც კარგათ მოყვანი და ჯანმთელი ხალხი აყო.

„დროშის“ კორამსკონდენსია

სოფ. ველის ციხე. 21 დეინობისთვის. ჩვენი სოფელი სიღნაღისა და თელავის უეზდების მომიჯნავეა. ბოლოს სოფლისას გაჰყოფს მდინარე ალაზანი და წყლის ვალმა არის თელავის უეზდის

ფელტონი

ვარძიის ვიქინების

ღვთის-მომოგლის დღესასწაული *)

მკითხველს, უეჭველია, ახსომს, რომ ამ სათაურით მე შეუღდექი თამარ-მების სატახტო ქალიქის ვარძიის და მისი შესაწინავე მონასტრის დღესასწაულის აღწეას; მაგრამ, რადგანაც აქვე შევეხებ სხვა ძველ მონასტრებსაც, ამიტომ მგონი უადგილო არ არის, (მეტადრე ამ ომის დროს, როდესაც ყოველ ჩვენგანს ყურადღება აქვს მიქცეული მსძალეთისკენ), რომ მე მომყავს სხვათა შორ-

*) „დროშა“, № 162.

რის ის ძველი ქართული მონასტრებიც, რომელნიც ამ წამად, დროთა შეცვლის გამო, მსძალეთის სამფლობელოში იპოვებიან.

მსძალეთში მყოფ ქართულ მონასტრებთა შორის პირველად მოვიხსენიეთ მორთუმის მაზრის ოთხი უფრო გამოჩენილი მონასტრები, რომელთა შემდეგ მამა ნერსესი ავეწერს მლთისის მაზრის მონასტერთ, ავრეთვე შარსისას, ანისას და სხვ.

„მორთუმის მაზრის შემოვლა რა გავათავეთ, ამბობს მამა ნერსესი, დიდი შეწუხებით, კლდეებზე და მთებზე ბობღვნით, ძლივს მივანწიეთ მლთისის მაზრაში მყოფ მონასტრებთან. ამ მგზა-

ერობის დროს წინ ბევრი სოფლები შემოგვხვდა მაგ. თევა, ღვიადორი (ეშმაკის ღლეე), ღუნია - ბოზუკის (აოხრებული ქვეყნის) ადგილები და ერთი ყვითლათ მომდინარე წყალი, რომელიც სამზღვრამს მლთისის და თავის-კარის მაზრებს.

„მონასტერი და სოფელი ერთს საშინელ მაღალ კლდოვან მთაზეა აშენებული, რომელიც გარშემორტყმულია თვალ ჩაუწვდენელი ღრმა ღრატეებით და ყოველ მხრიდგან სურათოვანი შეხედულება აქვს. ამ სოფელს ეწოდება „იშხან“ ანუ იშხანების *) სოფელი.

*) „იშხანებს“ სომხურად სოფლის ანუ მაზრის წინაპირ კაცებს უწოდებენ.

სოფლები: შვარელი, ხანაყარო იგივე ხაჩიანი, ძუჭატანი, და მემრე ძაგასიის მთა, სადაც სადგურობენ, დაცემის და აობრების დროს, ლეკთა დასნი; აღმოსავლეთით მელის-ციხის მომიჯნავეთ არის უდაბურნი ტყენი, ბარემყალი, შაიბანი, სოღიანი, შიაური, ლელი და ძაბალი.

როდესაც დამშვიდებულს და დაარხებულს ხალხს დეცა ლეკის ჯარი ძაბალს და იქვე მახლობლად რუსის სოფელს მიხაილოვკას, სადაცა მცხოვრებნი დახოცეს და ზოგთ კი გაასწრეს და თავი მოიჩინეს, დაიტაცეს, როგორც მთიულთ წესია, საქონელი დაგლათ, მელის-ციხელებს შემოისმა ეს საშინელი მითქმა-მოთქმა ლეკთ შემოსევისა; მოდიოდა კაცი კაცზედ: „უშველეთ თავს, თორემ მტრის მსხვერპლნი შეიქნებითო!“ შემინებული ხალხი პირველად გაქცა ტყეებში, რადგან არც ტყვია, არც წაჩალი არსად ჰქონდათ, შეაბეს საჩქაროთ ურმები, ვინც მოასწრეს, უშველეს თავს და ზოგნი კი ბარგს ინახავდნენ ორმოებში.

ჩვენი მამასახლისი მოახტა მაშინვე ცხენს და არწმუნებდა ხალხს: „ტყუილია, ღმერთი-რჯული, იყავით, გამაგრდით! ჩვენ ორლობებში ვანა რა მტერი უნდა იყოს, რომ ჩვენ შემოგვაიდეოს; დედაკაცებიც კი ქვითა ამოსწყვეტნო!“ ზადაუდგა და რამოტელიმე შებმული ურეში ძალით უკან დააბრუნა. „მტერმა თუ გაიგო, უფრო თავისუფლათ შემოვაო!“

ამ დროსვე აფრინა კაცი ნაჩალიკთან, შეატყობინა ეს ანბავი, ვგრეთვე მოსთხოვა წამალი. წამალიც ჩქარა მოაშველეს.

შეჰკრიბნა ძალით დარჩევით მცხოვრებნი ვიდრე ხუთასი კაცი, წაუძღვა ცხენოსანს და ალაზანის არე-მარე სულ

შამოიარა, და აცნობა მტერს, რომ, თუ მობრძანდებით, ჩვენც მზათ განლაგართო!

იმ დღიდგან ყოველს ორლობეში და ყოველს გზებზედ დაყენა ყარაულები. მისაც თოფები ჰქონდათ დაგირაგებული, წაურთო ძალით და მისცა პატრონებს!

მას აქეთ სოფელი მელის-ციხე არის მშვიდათ და მყუდროთ. იმ ხანებში ჩვენ დასაზვერავად ხუთი ლეკი ცხენებით მოვიდნენ, როგორც ვაჭრები, რომ გაეგოთ—რა მდგომარეობაში არის ხალხი. მამასახლისმა ესენი დაიჭირა და წარუდგინა მთავრობას. მხლა ჩვენ ისეთი-ნაირად გაგულიანებლნი ვართ, რომ ასე გვგონია, მთელი ღალისტანიც რომ მოგვადგეს, სოფელს მელის-ციხეს ვერას დააკლებს და ისევე ისეთი მყუდროება სუფევს აქ, როგორც იყო ადრე. თუ რომ მაგრათ არ მოჰქცეოდა ეს მამასახლისი და ხალხი გაუშო, რომ თავი მოერჩინათ, პირველი, რომ მტერი უთუოთ შემოვიდოდა, რადგანაც აქ უფრო ეგულებათ საკენკი, მეორე—მთელი ვენახები მოსული დასაკრევათ, სულ დაელუბებოდათ და სოფელი მაეცემოდა დიდ ზარალს.

სხვა მოფლის სცხოვრებნი, რომელნიც მთაში გახიზნულნი იყვნენ, იმათაც რომ გაიგეს მელის-ციხის სიმაგრე, რომ აღგილიდგანაც არ დაიძვრნენ, თვითონაც დაბრუნდნენ, მაგალითად სოფლის ახალ-შავაზის და სხვა სოფლების მცხოვრებნიც ჰერემის მთებიდგან და წივიდნენ თავიანთ სოფელში.

მის. ახ—ანი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ზოგიერთს მენის გაზეთებში იწერებინ, ვითომც სტამბოლში შემდგარა

პარტია, რომელიც ცდილობდა, რომ რუსეთთან მორიგებაზე დაეფინქმოს ხონთქარიო. ეს პარტია ეცუდნებოდა თურმე სულთანს, რომ თქვენთვის, ხონთქრისათვის, ჩვენი გამარჯვებაც და დამარცხებაც დამლუპავი იქნებაო: თუ თქვენმა ჯარებმა გაიმარჯვეს, მაშინ ამ ჯარების სარდლები, რომელნიც ყველა მითხადეთაშის მომხრენი არიან, დაბრუნდებიან თუ არა სტამბოლში, იმ წამსვე გადაყენებენ ტახტიდამაო; და თუ დაგვამარცხეს, მაშინ ხომ ხალხი აღგება და ხეირს არ დაგაყრისთო. ამის გამო ყველას ის ემჯობინებოდა, რომ ეხლავ შეურიგდეთ რუსეთსაო.

ამბობენ, რომ სულთანი ორ ცეცხლ შუა არის და არ იცის—ვის დაუჯეროს. მორიგება კი ურჩევნიაო; მაგრამ მორიგებაც არის და მორიგებაც: თუ ეს მორიგება ოსმალეთის ღირსების დამამცირებელი პირობებით იქნება, მაშინ ისევე დამარცხება ურჩევნიაო.

საზრანგეთი

ამ უკანასკნელი კენჭის-ყრის თაობაზე საფრანგეთის ერთს პატარა ქალაქში ბამბეტას წარმოუთქვამს სიტყვა. ამ სიტყვის უმთავრესი ჰაზრი, როგორც ფრანკოზული გაზეთები გვაცნობებენ, ის არის, რომ ბამბეტა ამართლებს თავის წინასწარმეტყველებას, რომ ჩვენ, რესპუბლიკელები, 400 დაებრუნდებით მომავალს ნაციონალურს ძარებაშიო.

ეს წინასწარმეტყველება იმიტომ არ ასრულდაო, სიტყვა ბამბეტამ, რომ კაცი არ მოელოდა, თუ ჩვენი მინისტრები, კენჭის-ყრის დროს, ისეთს უწყსოებას ჩაიდენდნენ, ისე უკანონოთ და ძალ-დატანებით მოიქცეოდნენ, როგორც ისინი მოიქცნენ ზოგიერთს დეპარტამენტებში.

მაგრამ რაც უნდა იყოს, უმრავ-

სოფელში ძალიან გახშირებული ხილნარი და ბალობა და ამ ქაშად მხოლოდ რამდენიმე კომლი თათრები-და ასახლიან. ეს მონასტერი ზემოთ-მოყვანილ მოშქას, ხახულიას და მგრიკის მონასტრებს იმდენათ ემგზავსება, რომ შეუცდომლათ შეიძლება ითქვას, რომ ეს მონასტრები ერთსა და იმავე საუკუნოში, ერთი არხიტექტურით და ერთი და იმავე კაცის ხელით არიან ნაშენი. ამ მონასტრების სიმშვენიერის, სიძრიელების, სასწაულთ-მოქმედების და ქების გამო თათრები იქამდე გოაცებულან, რომ სათითაოთ შემდეგი ლეკით შეუმკიათ: „მოშქუნუნ ბაქშიში, ხახუანუნ იათიში, იშხანინ ნაქშიში“ ***).

***) ეს იგი „მოშქას ამაჟად გამომხვრა, ხახულიას დინჯად წამოწოლა და იშხანის სურათოვანი მხატვრობა.“ ავტ.

სხვათა შორის ამ მონასტრებზედ ხალხში ერთი დაუჯერებელი ლეგენდა სუფევს; სადაც იხსენიებენ მითომ სპარსეთის ხელმწიფის ნუსრეფანის სამთ მშვენიერთ ასულთა თავ-თავიანთვის აეშენებინათ.

ეს იშხანის მონასტერი აშენებული ყოფილა ყვითელი ქვით. ძარი სულ ორი აქვს სამხრეთისკენ დატანებული. როგორც გვაუწყეს ამ სოფელში მყოფ მოხუცთა, როდესაც ეს მონასტერი სომალოების ხელში ჩავარდა, კედლებზედ გამოქანდაკებულ წმინდანების ხატების გამო, თათრები შიკ შესვლასა და ლოცვას ვერ ჰხედავდნენ, რადგანაც რჯულის წინააღმდეგი იყო.

ამის გამო ერთს მშვენიერ დროს ეკკლესია შიგნით გარედგან შეშით გაემსოთ და ცეცხლი წაეკიდებინათ. ამ გვარად, რაც რომ ცეცხლის ალს გადურჩა, შუბებით ჩამოუნგრევიათ. შრთის სიტყვით, ამ ეკკლესიის კედლები შიგნით გარედგან მშვენიერი და შესანიშნავი მხატვრობით ყოფილა აღესილი. წარწერილებიც ძრიელ ბევრი ეტყობა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ სამხრეთის კარისკენ-ლაა გასაგებათ შერჩენილი, რომელიც ამ ქვემო მოყვანილ წერილში შეიღ პუნქტათ მომყავს.

ილ. აღნაზაშვილი

მ. ახალქალაქი, ღვინობისთეფს

ლესობა მომავალს პალატაში მაინც რესპუბლიკელებს ეკუთვნის და მტკიცე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმათის შემწეობით რესპუბლიკა და ამასთან მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობა დამკვიდრდება საფრანგეთში.

ბანსხალბანი

თფილისის პირუტყვთა დამცველის საზოგადოების გამგეობისაზან

ხსენებული საზოგადოება საჭიროდ რაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს:

1). რადგან იმ 173 პირში, რომელთაც 4 გასულ მაისს მოაწერეს ხელი და ჩაიწერეს საზოგადოების წევრებად, მხოლოდ 52 პირმა შემოიტანა ამ წლის საწევრო ხვედრი ფული; ამის გამო დანარჩენი წევრები და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება ჰსურთ, მოიწვევიან, რომ საჩქაროდ შემოიტანონ ხვედრი ფული საზოგადოების ხაზინადართან უფ. ა. ს. სერგეევთან (თფილისის საურთიერთო ბანკის ბამგეობაში), რომლისგანაც ისინი მიიღებენ ბილეთსა და საზოგადოების წესდების თითო ეგზემპლარს.

2). მომავალი ნოემბრიდამ საზოგადოების ბამგეობას მუდამ თვის 5-ს ექნება სხდომები; საზოგადო კრება წევრებისა კი იქნება მუდამ თვის 20-ს. ამის გამო ვისაც საზოგადოებასთან რაიმე საქმე ექნება, შეუძლიანთ ამ დღეებში მოზრძანდნენ საღამოს 7 საათზე. (სერგეევის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლებში, საცა იმყოფება კანცელარია ძავეკასიის ცხენების მოშენების ბამგეობისა).

(3-1)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს აღმანიანს ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა აღმანიანს კანს დაამსგავსებს.

ძანს ეკვრება და არა სჩაჩს.

შ. ძ ა ი — გ ა მ ო მ გ ო რ ი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეიც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156-148

სხვა-და-სხვა ღირსებისა და გვარი ქალაქდები

შეიძლება იყიდოს მსურველმა მილიამინოვის ქუჩის კუთხეში, გაზეთის „ძავეკასის“ კანტორის გვერდით, ხოსროვის სახლებში.

(3-2)

წამოცური მისი მასწავლებელს ჰსურს აძლიოს ამ ენის ბაკვეტილი. მსურველს შეუძლიან მიმართოს ამ აღრესსით: საპიორის ქუჩა, სახლის № 48.

(3-1)

ჭუთანში, გუბერნიის ტიპოგრაფიაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „სოლი თუ გინდა, ეს არის!“ მათ-მოქმედებიანი ვოდვეილი მას. აბაშიძისა.

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წამდამხდელ კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს პატივი აცნობოს ამბანკის დამფუძნებელთა, რომ რადგანაც ამა წლის ათს ოქტომბერს დანიშნულს ურვეულგარიგო საზოგადო კრებაზე არ დაესწრნენ იმდენი წევრი-დამფუძნებელი, რამდენიც სიჭირო იყო, ამის გამო წესდების § 83 ძალით ინიშნება ხელ-მეორეთ ურვეულგარიგო საზოგადო კრება 15 ნოემბერს ამა 1877 წლისა, დილის 10 საათზედ.

კრების სხდომები იქნება საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, რომელიც იმყოფება: სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. შორღანოვის სახლებში.

ამა მეორე კრების გარდაწყვეტილება ქვემოთ მოხსენებულის საგნების შესახებ, რომელნიც უნდა განვიხილო პირველს კრებას, ჩაითვლებიან საბოლოო გარდაწყვეტილებად, წესდების § 83 ძალით, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწრნენ ამ კრების სხდომასზედ.

მოსალაპარაკებელი საგნები:

1) ბანჩევა საზოგადო-სასარგებლო საჭიროებათა, რომლისთვის უნდა დანახოს წესდების მე-90 მუხლით დანიშნული 45% (ორმოც-და-ხუთი-ნასალი) წლიური ნაღდი შემოსავლისა. (მათელი ჯამი 17, 540 მან. 80 კაპ., რომლიდგანაც 2,000 მან., 1876 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მიეცა ზედამხედველ კომიტეტს განკარგულებაში).

2) წესდების მე-68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 მუხლების შეცვლაზედ, რომელიც, თანახმად 18 მაისის 1877 წლის დამწესებელთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, წარდგენილი იყო დასამტკიცებლად შინანსთ მინისტრთან.

3) თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და დამატების აუცილებელ საჭიროებაზედ (მაგ. § 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 64 და 83).

4) შპრავი მამულების დაფასების შესახებ ინსტრუქციის პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საზოგადო კრებაში განსახილველად და დასამტკიცებლად.

5) მოხსენება, თანახმად შინანსთ მინისტრის წინადადებისა, იმის თაობაზედ, რომ ბანკის მოვალეთ, რომელნიც მომქმედ არშიაში ითვლებიან, ახალი ვადა მიეცესთ როგორც პირველი ორი ნახევარ წლის ფულის შემოტანაზედ—1 ივლისის 1877 წლიდამ 1878 წლის 1 ივლისამდინ, აგრეთვე იმ ფულზე, რომელიც დღემდინ უნდა ყოფილიყო შემოტანილი.

6) მოხსენება იმაზედ, რომ შინანსთ მინისტრმა უარი განაცხადა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობაზედ, რომ ძავეკასიის საზოგადო პრიკაზის ვალი გადატანილ იქმნეს თფილისის საადგილ-მამულო ბანკში.

7) მოხსენება იმაზედ, რომ მისი იმპერატორებით შმადლესობის დიდის მთავრის ძავეკასიის ნამესტნიკის სახელობაზედ დაარსებული პრემია მიხაილოვის არტილერიის სასწავლებელში მუდამ მზათ ჰქონდეს ბანკსა და აგრეთვე სტიპენდიის ფული, რომელიც მისს იმპერატორებით შმადლესობის ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზედ არის დანიშნული ძავეკასიის საქალბო ინსტიტუტში.

8) რუსეთის საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობაზედ.

9) იმაზედ, რომ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს მიეცეს საზოგადო კრებისაგან უფლება, რომ დაითხოვოს ისეთი წევრი დამფუძნებელ კომისიისა, რომელნიც თავიანთ მოვალეობასა და დანიშნულებას რიგიანათ ვერ ასრულებენ.

10) მიცნოთ თუ არა ბანკის დამფუძნებელ წევრებად ის მიწის-მეპატრონე თავად-აზნაურები თფილისის გუბერნიისა, რომელთაც გლახთა განთავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღიათ და რომელნიც მოსურვებენ სრულად და ერთბაშად იმ ფულის ბანკში შემოტანას, რაც მათ გადასახადად ხედათ თავად-აზნაურთა კრების 29 ნოემს 1872 წელს დადგენილის პროტოკოლის ძალითა.

11) მოხსენება თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფასებლებზედ: 1) რომ საზოგადო კრებისაგან 1876 წელში აღჩეულთ დამფასებელ კომისიის წევრთა სამსახურის ვადასაც შეეხოს წესდების მე-64 მუხლი თუ არა; 2) დამფასებელ კომისიის წევრთათვის კანდიდატების ამორჩევა.

12) ამორჩევა ბანკის ბამგეობის წევრისა თავ. ლავით ივანეს ძის ავალოვის მაგიერად, რომელიც (თანახმად წესდების § 67-ისა) წილის-ყრით უნდა გამოვიდეს ბანკის ბამგეობილამ.

(1-1)